ვამტკიცებ:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი

სალომე მელია _____

საახალწლო ტურნირი ელვისებურ ჭადრაკში "ბათუმის თასი - 2023"

23-24 დეკემბერი, 2023 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. **ორგანიზატორი:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაცია;

2. **ფინანსური მხარდამჭერი:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი;

3. **ჩატარების დრო და ადგილი:**

23-24 დეკემბერი, მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე. მის: ლეონიძის 15

4. ჩატარების სისტემა:

ჩემპიონატი ჩატარდება ღია და 8,10,12 წლამდე ასაკობრივ კატეგორიებში.

a) ღია ტურნირში მონაწილეობა შეუძლია ყველა მოჭადრაკეს.
b) 12 წლამდე ღია ტურნირში მონაწილეობა შეუძლია მოჭადრაკეებს დაბადებულნი 2011 წლის 1 იანვრიდან.
c) 10 წლამდე ღია ტურნირში მონაწილეობა შეუძლია მოჭადრაკეებს დაბადებულნი 2013 წლის 1 იანვრიდან.
d) 8 წლამდე ღია ტურნირში მონაწილეობა შეუძლია მოჭადრაკეებს დაბადებულნი 2015 წლის 1 იანვრიდან.

5. ტურნირის სათამაშო წესები:

ტურნირი გაიმართება ფიდეს წესებით, შეეიცარული სისტემით 9 ტურად. დროის კონტროლი: 5 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე 5 წამის დამატებით. ღია კატეგორიაში დაითვლება ფიდეს რეიტინგი ელვისებურ ჭადრაკში.

ცვლილების აუცილებლობის შემთხვევაში, ტურნირის ჩატარების სისტემას და დროის კონტროლს განსაზღვრავს ორგანიზატორი.

6. რეგისტრაცია:

მონაწილეებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ შემდეგი ბმული:

https://forms.gle/6BmZtXAs7jPBKQ6j9

საკონტაქტო მობ: 599 069497

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2023 წლის 22 დეკემბრის 18:00 საათი.

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში, ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

7. ტურნირის განრიგი

ჩამოსვლის დღე	22 დეკემბერი	
გახსნა	**23 დეკემბერი**	**14:00**
1 ტური	23 დეკემბერი	15:00
2 ტური	23 დეკემბერი	15:30
3 ტური	23 დეკემბერი	16:00
4 ტური	23 დეკემბერი	16:30
5 ტური	23 დეკემბერი	17:00
6 ტური	24 დეკემბერი	14:00
7 ტური	24 დეკემბერი	14:30
8 ტური	24 დეკემბერი	15:00
9 ტური	24 დეკემბერი	15:30
დახურვა	24 დეკემბერი	16:30

მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით ორგანიზატორი უფლებამოსილია მოახდინოს ტურნირის დაწყების დროის (საათი) შესაბამისი კორექტირება.

8. **სატურნირო შესატანი:** 10 ლარი (უნაღდო ანგარიშწორებით).

(დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში - 20 ლ.)

აჭარის ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი"

ანგარიშის ნომერი: **GE95BG 0000 000 3630 99200**

9. გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების რაოდენობა.

6. პრიზები

- ღია კატეგორის გამარჯვებული სამეული დაჯილდოვდება დიპლომით, მედლითა და ფულადი პრიზით, ჩემპიონს ასევე გადაეცემა თასი.
- I ადგილი - 150 ლ.
- II ადგილი - 130 ლ.
- III ადგილი - 100 ლ.

- ქალთა ნომინაციაში გამარჯვებული დაჯილდოვდება დიპლომით, მედლითა და ფულადი პრიზით
- I ადგილი - 100 ლ.
- საუკეთესო შედეგის მქონე ვეტერანი დაჯლდოვდება დიპლომით, მედლითა და ფულადი პრიზით
- I ადგილი - 100 ლ.
- საუკეთესო შედეგის მქონე შშმ პირი დაჯილდოვდება დიპლომით, მედლითა და ფულადი პრიზით
- I ადგილი - 100 ლ.

(პრიზები დაიქვითება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად)

- 8, 10 და 12 წლამდე ღია კატეგორიის გამარჯვებული სამეული დაჯილდოვდება დიპლომით, მედლითა და ფასიანი საჩუქრით, ჩემპიონს ასევე გადაეცემა თასი.

- სამივე ასაკობრივ კატეგორიაში გამოვლინდება საუკეთესო გოგონა და მასაც გადაეცემა დიპლომი, მედალი და ფასიანი საჩუქარი.

პრიზებისა და საჩუქრების მისაღებად სავალდებულოა დახურვაზე დასწრება. რამოდენიმე ნომინაციაში გამარჯვების შემთხვევაში, მონაწილეებს შეუძლიათ 1 უმაღლესი პრიზის მიღება.

7. საერთო წესები

. ტურზე დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება საათზე ალმის ჩამოვარდნის შემდეგ.

. პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

8. მონაწილეთა მიღება

მონაწილეთა ცხოვრების, კვების და გზის თანხებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

ტურნირის დირექტორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი,
საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია
მთავარი მსაჯი: ეროვნული არბიტრი ალექსი ტერ-კარაპეტიანი